

პროკრასტინაციას, კონტროლის ლოკუსსა და თვითშეფასებას შორის კავშირი  
სტუდენტებში

თეონა კოკოსკერია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : დარეჯან კახიანი, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა კოკოსკერია

24.06.2019

## აბსტრაქტი

პროგრასტინაცია, შესაძლებელია ითქვას, რომ საკმაოდ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს. პროგრასტინაციულმა ქცევამ ცხოვრების ყველა სფეროში შეიძლება იჩინოს თავი. მათ შორის, აკადემიური მოსწრების მიმართულებით. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს აკადემიურ პროგრასტინაციას, თვითშეფასებასა და კონტროლის ლოკუსს შორის კავშირის დადგენას, რათა მოხდეს პროგრასტინაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა, მისი შემდგომი პრევენციის მიზნით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 122-მა სტუდენტმა, რომელთა ასაკი 18-დან 35 წლამდე მერყეობდა. რესპონდენტებმა შეავსეს თვითშეფასების, კონტროლის ლოკუსისა და აკადემიური პროგრასტინაციის საზომი კითხვარები. მიღებული შედეგების მიხედვით, უარყოფითი კავშირი გამოვლინდა აკადემიურ პროგრასტინაციასა და თვითშეფასებას შორის. ასევე, თვითშეფასებასა და კონტროლის ლოკუსს შორის. არ დადასტურდა ჰიპოთეზა პროგრასტინაციასა და კონტროლის ლოკუსს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირის შესახებ. თუმცა გამოვლენილი კავშირი, როგორც ნავარაუდები იყო, დადებითი აღმოჩნდა. აგრეთვე, გამოვლინდა გენდერული განსხვავება პროგრასტინაციასთან მიმართებაში. კერძოდ, ქალები უფრო მეტად არიან მიდრეკილები პროგრასტინაციული ქცევისკენ, ვიდრე მამაკაცები. რეგრესული ანალიზის მიხედვით, კი კონტროლის ლოკუსისგან განსხვავებით, თვითშეფასება შეიძლება განვიხილოთ პროგრასტინაციის კარგ პრედიქტორად. მიღებული შედეგები საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდისა და ცოდნის გაღრმავების მიმართულებით, გამომწვევ მიზეზებსა და დამღევის სტრატეგიებთან დაკავშირებით.

*ძირითადი საძიებო სიტყვები: პროგრასტინაცია, თვითშეფასება, კონტროლის ლოკუსი*

## **Abstract**

Procrastination is a very common phenomenon. Procrastinating behaviour can occur in all areas of life, including academic achievements. This research aims to establish connection among academic procrastination, self-esteem and locus of control in order to determine the causes of the procrastination for its further prevention. 112 bachelor's and master's degree students of Tbilisi Universities participated in the survey, the ages of which varied from 18 to 35 years. The respondents filled the questionnaires of self-esteem, locus of control and academic procrastination. According to the results received, negative feedback was revealed between academic procrastination and self-esteem, as well as between self-esteem and locus of control. The hypothesis of statistically reliable connection between the procrastination and locus of control was not confirmed. However, as it was predicted, the revealed connection was positive. Also, gender differences in procrastination has been identified. In particular, women are more prone to procrastination behaviour than men. According to regressive analysis, contrary to the locus of control, self-esteem could be a good predictor of procrastination. The results obtained, based on the actuality of the issue, are important to the awareness and advancement of knowledge, about causing reasons and overcoming strategies.

***Keywords:*** *academic procrastination, self-esteem, locus of control*